ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №829065

ნომერი: AR1150563

თარიღი : 30.07.2013

გაცემის თარიღი : 05.08.2013

გაცნობის თარიღი : 05.08.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კრწანისი , (ნაკვეთი N14/45) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ინგა მაისურაძე პ/ნ 01026001428
- თბილისი პლ.იოსელიანის ქ. N 40 ბ. 18

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- კოეფიციენტის განსაზღვრა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1150563 განაცხადის პასუხად გაცნობებთ შემდეგს: მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით N01.18.06.014.066 (ფართობი 2600 მ2) დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის რუკის მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 2–ის (სზ–2) სატატუსი (იხ. დანართი), რომელშიც მოქმედებს შემდეგი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები:

საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2):

ა) განაშენიანების დომინირებული სახეობაა ერთბინიანი საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ამ წესების დანართი -1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობები;

ბ) კოეფიციენტები:

ბ.ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) – 0,5;

ბ.ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2) – 0,8 ;

ბ.გ) მიწის ნაკვეთების გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) – 0,25.

დამატებით გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 20.01.2006 წლის N20/31 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, კრწანისის ყოფილი სამთავრობო რეზიდენციისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. აღნიშნულიდან გამომდინარე მოცემული ტერიტორიის განვითარება უნდა მოხდეს სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.